წარსულის ყოფა

არქიტექტურას მძლავრი ფსიქო-ემოციური შესაძლებლობები გააჩნია, უნარი შესწევს აცხოვროს საზოგადოება იმ წესებით, რომელსაც თავად ქმნის და რომელიც შემდეგ ამ სივრცის ორგანული ნაწილი ხდება. არქიტექტურა არ არის მხოლოდ აზომვითი ნახაზები, ფანქრებისა და ფურცლების ქაოსური კომპოზიცია, ის ბევრად უფრო ღრმა შინაარსის მატარებელია, ემოციების ფორმად გარდაქმნის საუკეთესო გზაა... არქიტექტურა კაცობრიობის ისტორიის, აზროვნებისა და კულტურის სარკეა, რომელიც მეტყველებს ყველა ენაზე, ყველა ადამიანისთვის ვინც მას მოუსმენს. არქიტექტურა წიგნია, რომელსაც არ სჭირდება თარგმნა, მელოდიაა, რომელიც უნდა იგრძნო.. ყოველი შენობა ადამიანს ჰგავს, ისტორიით, ფუნქციითა და ხასიათით გამორჩეულ ადამიანს, რომელიც დღეს ჩვენში წარსულის სახით ცოცხლობს. სწორედ შენობები გვაკავშირებს საუკუნეების წინ დაწერილ ისტორიასთან, ამიტომაც იქცა ეს თემა აქტუალურ და საინტერესო მასალად ვენეციის პირველ ბიენალეზე, სადაც წარმოდგენილი ინსტალაციები მთლიანად წარსულის ყოფაზე გვიყვება, თუმცა სანამ კონკრეტულ თემაზე გადავალთ, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ბიენალეს როლი ხელოვნების ისტორიაში.

ვენეციის ბიენალე დაფუძნდა 1896 წელს, 1893 წლის კონსულის რიკარდო სელვატიკოს იდეის შემდეგ,ხოლო ვენეციის ბიენალეს არქიტექტურული სექცია კი 1980 წელს. ეს მოვლენა ყოველ ორ წელიწადში ერთხელ იმართება და წარმოადგენს მსოფლიო ხელოვნების ფორუმს. პრიზი კი რჩეულთათვის წარმოადგენს ოქროს ლომს. არქიტექტურის აკადემიურ მხარესთან ერთად, ბიენალე უზრუნველყოფს არქიტექტორების და დიზაინერების შესაძლებლობას, აჩვენონ ახალი პროექტები, სხვადასხვა პავილიონებში, თითოეული მათგანი სხვადასხვა თემებით.

ვენეციის 1980 წლის პირველ ბიენალეზე,რომლის კურატორი იყო პაოლო პორტოგეზი, გაიმართა გამოფენა სათაურით „წარსულის ყოფა“ ან „წარსულის არსებობა“. არსენალეს, რომელიც არსებობდა მე-16-ე საუკუნიდან, უზარმაზარ პავილიონში წარმოდგენილი იყო სტრადანოვისიმა- „უახლესი ქუჩის“ თემა. ეს ქუჩა შედგებოდა მსოფლიოს ცნობილი არქიტექტორების (ჰანს ჰოლაინი, ალან გრინბერგი, არატა ისოზაკი, ფრენკ გერი, მაიკლ გრეივსი, კონსტანტინო დარდი, ჩარლზ მური, ოსვალდ მათიას უნგერსი, რობერტ ა.მ. სტერნი, რობერტ ვენტური, ჯონ რიჩი, დენის სკოტ-ბრაუნი, ფრანკო პურინი, ლაურა ტერმესი, ლეონ კრიერი, სტენლი ტიგერმანი, მასიმო სკოლარი, გრაუ, თომას გორდონ სმიტი, რიკარდო ბოფილი, რემ კულჰასი, ელია ზენგელისი) მიერ შექმნილი „ფასადებისგან“, თუმცა ჰანს ჰოლაინის მიერ

შექმნილი ნამუშევარი შევიდა პოსტმოდერნისტული ესთეტიკის ნათელ გამოხატულებად ყველა სახელმძღვანელოში. ფაქტობრივად, მისი ლაკონური ქრესტომატიული დემონსტრირებაა და გვიჩვენებს თუ რა არის პოსტმოდერნი და კლასიკური ორდერული სისტემის ირონია.

ჰოლაინი მიმართავს კლასიკურ კოლონას, რომელიც გამოდევნა მოდერნიზმმა და მისი წარმოჩენით წარმოადგენს მას ძლიერ ტრანსფორმირებულ სტილში. არსენალეს არსებულ კოლონებს შორის განათავსა ოთხი ერთმანეთისგან განსხვავებული დამოკიდებულება, ოთხი კოლონა. პირველი ხის მერქანია, მეორე ლანდშაფტურია და გარშემო ეხვევა მცოცავი მცენარე, მესამე ნატეხია, რომლის ქვეშ ქალის ანტიკური ქანდაკება დგას, მეოთხეში გამეორებულია ვალტერ გროპიუსის ჩიკაგო ტრიბუნის შენობა.

აქ შეერთებულია მოდერნიზმის საწყისები, დაბრუნება ანტიკურობასთან, მაგრამ თან ახლავს ის რაც არ იყო იმ წინა ტალღებში, რომლებიც უბრუნდებოდნენ ანტიკურობას (იგულისხმება „ნეოკლასიციზმი და ა.შ. ნეოკლასიციზმის არც ერთ ვარიანტში არ ჩნდებოდა კოლონა, რომელიც არაფერს არ ეყრდნობა. ჩნდება ერთგვარი თამაში არქიტექტურის ისტორიულ ენასთან. ასეთმა მიდგომამ შექმნა რაღაც უცხო, რაც აღებულია კლასიკური ფორმებიდან. ბაროკო ეთამაშება რენესანსს, ელინიზმის ეპოქა კლასიკურ პერიოდს და ა.შ. აქედან გამომდინარე ჰოლაინის აზრით პოსტმოდერნიზმი გავს ამ არქიტექტურული სტილების გვიანდელ ფაზას.

ჰანს ჰოლაინი - წარსულის არსებობა მკაფიოდ გამოხატავს ჩემს წვლილს სხვადასხვა გზით.ეს არის მოგონების არქიტექტურა,რომელიც გულიოსხმობს არა მხოლოდ არქიტექტურის ისტორიას, არამედ ეს არის თითოეული ჩვენგანის კულტურული მემკვიდრეობა და პიროვნული წარსული, მე გადავწყვიტე ჩემი ფასადი გამეკეთებინა თითქმის ისეთივე მძაფრი, როგორიც იქნებოდა წარსულის ყოფა „ქუჩაში“ როგორც ეს „კორდერიაში“ ჩანს - სვეტები.

ასევე აღსანიშნავია თუ როგორ აღიქვეს არქიტექტორებმა წარდგენილი თემა „წარსულის ყოფა“ და რა დაინახეს ამ თემის მიღმა:

ალან გრინბერგი - ჩვენი არქიტექტურული წარსულხცვის მნიშვნელობა უფრო რთულია, ვიდრე უბრალო ისტორიაში გადმოცემული დამახინჯებული ფორმები.

ტრადიციულად, ეს არის ის საშუალებები, რომლითაც ჩვენ ვაყალიბებთ ჩვენს სოციალურ, პოლიტიკურ და რელიგიურ ნორმებს. ეს დადასტურებულია ისეთი ტიპის შენობების სახით, რომლებიც განიცდიან მუდმივ ცვლილებებს საზოგადოებაში გარემოებების ცვლილებასთან ერთად. ამ ტიპის სტრუქტურები წარმოადგენენ არქიტექტურული პრობლემების ექსპერსიულ და ფუნქციურ გადაწყვეტილებებს. შენობას სრულყოფაში უნდა მოჰყავდეს ვიდრე არსებული, არქიტექტურული ტრადიციები. წარსულის მემკვიდრეობა გიწვევს იმისკენ, რომ შევქმნათ ჩვენი დროის არქიტექტურა.

არატა ისოზაკითვის ფასადი არის ტრადიციულ იაპონურ ქუჩაზე არსებული ტიპური სახლი. შენობის მთავარი სხეული არის სადგომი გზიდან, რომელიც დაცულია მაღალი ღობით. სტუმრები გადიან ჭიშკარს და პოულობენ გზას, რომელსაც სახლამდე მიჰყავს ისინი. ზოგადად, ფასადი თავისი მნიშვნელობის გამოსახატავად, ძალიან მცირე ელემენტებს შეიცავს.

მასიმო სკოლარი - მხატვარი შეიძლება შეფასდეს არქიტექტურული შესაძლებლობებით, არქიტექტურა კი მხატვრობის საშუალებით. ამ ფასადში გადავწყვიტე შემექმნა „გამოსახულება“: აქსონომეტრიული ფოტო, როგორც მხატვარს, რომელიც დაინტერესებულია არქიტექტული წარმომადგენლობის პრობლემებით, ეს ფასადი არ მალავს არაფერს. ის უბრალოდ არის ფერწერული გამოსახულება.

ტომას გორდონ სმიტი - მიუხედავად იმისა, რომ ჭეშმარიტად დაინტერესებული ვარ არქიტექტურის ისტორიით, წინააღმდეგი ვარ იმ მნიშვნელობის, რომელიც მოცემულია სიტყვა „წარსულში“. მე არ ვარ დაინტერესებული „წარსულით“; ძალიან შერეული და მიუწვდომელია. თუმცა, მიფიქრია იმ არქიტექტურულ ელემენტებზე, რომელიც ამჟამად ისტორიის საშუალებით არის ხელმისაწვდომი. და აღფრთოვანებული ვარ იმით, რომ გვაქვს შესაძლებლობა ფართო ენის მქონე ისეთი შენობის შემუშავებისა, რომელიც დღესდღეობით პრობლემებს წყვეტს და სულიერ შინაარსს გადმოსცემს.

გრაუ - ვენეციის ბიენალის მიერ ორგანიზებულ არქიტექტურის პირველ საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობის მიღების საშუალება არის ხელსაყრელი შესაძლებლობა, გავააქტიუროთ არსებული ვითარება ჩვენს გამოცდილებასთან დაკავშირებით. მაშასადამე, ფასადი არის დაუყოვნებელი მაცნე მეტად დამარღვეველი სიმბოლოების, განშორება ირგვლივ არსებულ ისტორიასთან, შეთავსება ახალ ისტორიასთან და ცხოვრების სხვა ფორმებთან.

სტენლი ტიგერმანი - ბუნების არქიტექტურა იპტიმისტურია.შენობა ნიშნავს იმას, რომ რაღაც გახდეს არსებობის ნაწილი. იმისთვის რომ ასე მოხდეს, მას უნდა ჰქონდეს ფესვები ოპტიმიზმში. მე მჯერა,რომ ნეოპლატონიზმი, რომელიც არქიტექტურას მარადისობის სამსახურში მიიჩნევს, წარმოაჩენს სკეპტიციზმს, როგორც ცხოვრების წინაღმდეგობას. აქედან გამომდინარე, ჩემი ვალდებულებაა იყოს აუცილებლად დამაბნეველი, შიზოფრენული და მაინც ოპტიმისტური.

ლეონ კრიერი - ჩემი თეორიული ნაშრომები შედგება ნაწერებისა და ნახატებისგან, რასაც ვწერ ყოველთვის ვპოულობ მის დემონსტრაციას ნახატებში, და რასაც ვქმნი ყოველთვის აქვს საფუძვლიანი ახსნა ჩემს ნაწერებში. ყველა პროექტი, რომელიც მე შევიმუშავე, არის მანიფესტი კონკრეტულ სარეკონსტრუქციო ტაქტიკაზე, მთელი ქალაქის მასშტაბით.

ფრანკო პურინი, ლაურა ტერმესი - პროექტი ასახავს ფაქტს, რომ ორმა ადამიანმა შექმნა ის, ფაქტობრივად, ციფრი 2 სიმბოლურია კომპოზიციის მიხედვით, მთელი ფასადი შედგება ძირითადი წინა და მასთან მდებარე შავი ორი ობსერვატერიისგან. იზოლირებული სახლი ჩასმულია ლანდშაპტში, ეს ლანდშაპი საერთოა ორი ქალაქისთვის და აერთიანებს მათ.

რობერტო ვენტური, ჯონ როჩი, დენის სკოტ-ბრაუნი - ჩვენი მასწავლებლის აზრით, პრინცტონის, ჯონ ლაბატუტისა და დონალდ დრიუ ეგბერტის დროს წარსული იყო იდეებისა და მაგალითების უმნიშვნელოვანესი წყარო, რომელსაც ისინი თანამედროვე არქიტექტურის გაგებისა და სწავლების დროს სიმარტივისთვის იყენებდნენ. ჩვენ კი ჩვენი კარიერის დასაწყისშივე ვუკავშირებთ ერთმანეთს წარსულსა და დღევანდელ არქიტექტურას, ჩვენს აზროვნებასა და საქმიანობაში.

რობერტ ა.მ. სტერნი - ჩვენი შემოთავაზება „სტრადა ნოვისიმასთვის“ეხება წარსულის რეალობას და ილუზიას. წარსული განიხილება, როგორც ახლო წარსული და შორეული წარსული, რომელიც დაკავშირებულია არქიტექტურის ისტორიასთან. ფასადის ელემენტები ამ ორ დონეს აკავშირებს ერთმანეთთან.

ოსვალდ მათიას უნგერსი - დოგმატური და ჩარჩოებში მოქცეული დამოკიდებულების ხანგრძლივი ფაზის შემდეგ თანამედროვეობაში არქიტექტურა ისევ მიიჩნევა ხელოვნების დარგად. მას აქვს შესაძლებლობა, როგორც სხვა ხელოვნების დარგებს - რომ ადამიანის არსებობა გაათავისუფლოს ნაცრისფერი, ტრივიალური რეალობისგან, რითაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ადამიანის გარემომცველი სამყაროს ფორმირებას.

ჩარლზ მური - საბოლოოდ, ჩვენ მივხვდით იმ საინტერესო კონცეფციას, რომლითაც შენობები ცოცხლდება ყურადღებით, დიდი ენერგიითა და იმ ადამიანური სიყვარულით, რომელსაც ჩვენ მათში ვდებთ და ასეთ ხარისხიან შენობებს რომ ვფლობდეთ ამაში არა მხოლოდ არქიტექტორი უნდა ერთვებოდეს, არამედ ნებისმიერი პირი, რომელიც არ არის დაინტერესებული ამით, ანუ ჰაბიტატი რომელიც ამ გარემოში იცხოვრებს..მათი სახეები, მისამართი, შინაარსი უნდა მოდიოდეს ძირითადად ადამიანის მოგონებებისა და ფანტაზიებისგან, და ამით ისინი შეერწყმებიან ინდივიდუალურ და კოლექტიურ, წარმოსახვით და ისტორიულ წარსულს.

ფრენკ გერი - ფასადი რომელიც ჩემი დიზაინითაა გაკეთებული ვენეციური გამოფენისთვის, შსრულებულია თხელი ნედლი ხის ფიცრებით, რომელიც დაკავშირებულია კალიფორნიული პოპულარული სახლის ტრადიციულ მშენებლობასთან, ეს ერთგვარი პერსპექტიული დიზაინითაა გაკეთებული იმ მასალისგან, რომელიც ფუნდამენტური და აუცილებელია ჩემი ქვეყნის არქიტექტურაში. ამ კონსტრუქციის ტექნიკას, რა თქმა უნდა, იყენებდნენ საუკუნეების მანძილზე იმ ტერიტორიებზე, სადაც ხე ყველგან მოიპოვება და ამიტომ კიდევ უფრო მეტად მნიშვნელოვანია.

რიკარდო ბოფილი - მიზანია, რომ შევისწავლოთ დაკარგული არქიტექტურა, შესანიშნავი ხარისხის არქიტექტურა, კულტურის არქიტექტურა, და დავაკავშიროთ ის თანამედროვე სამშენებლო სისტემებს. ფასადი ნამდვილი სპეკულაციაა, რომელმაც გაანადგურა დაბალანსებული ურბანული ლანდშაპტი, შეითვისა წესები, არაამქვეყნიურუ პროპორციები, ფასადის შფიცვრის დიზაინიდან უკვე ფასადის კომპოზიციამდე და მოდელირების ურბანულ ვაკუუმამდე.

მაიკლ გრეივსი-თუ ერთი მიიჩნევს, რომ არქიტექტურის ენობრივი ინტერესი არის ადამიანისა და ლანდშაფტის მეტაფორული წარმოდგენა, სხვამ შესაძლოა ეს მარტივი პირველადი ენა გამოიყენოს ისე, რომ გამოხატოს არა მხოლოდ მარტივი, არამედ კომპლექსური და პოეტური იდეები. როდესაც ერთი დაინტერესებულია კითხვის საფუძვლებით, კომუნიკაციითა და მოქმედებით, რომელიც ხორციელდება არქიტექტურულ კომპოზიციაში უფრო წარმოსახვითად, მეორე უნდა დარწმუნდეს, რომ კომპოზიცია არ არის იმდენად ლიტერატურული, რომ შესაძლებელი იქნეს ერთჯერადად წაკითხვა. კომპოზიციამ უნდა შეძლოს სხვა ინტერპრეტაციებიც.

რემ კულჰასი,ელია ზენგელისი - უტილიტარული არქიტექტურის სფეროდან სრული გაქცევა ხსნის სასიამოვნო პერსპექტივას : თანამედროვეობის სივრცე იქნება

მიტოვებული, რათა შეიქმნას მდგომარეობა, სადაც სიახლე იშვიათია. უჩვეულო გამოგონება, შოკისმომგვრელი ფანტაზია, დივერსიული ინტერპრეტაცია და თანამედროვეობა ახალი ეგზოტიკურობა იქნება ...ახალი გამოცოცხლების გარემო.

პაოლო პორტოგესი,ფრანცესკო სელინი, კლაუდიო დამატო - არქიტექტურის მთელი ისტორიის მანძილზე ფასადი იყო შენობის „სახე“, ნაწილი, რომელიც საშუალებას აძლევს შენობას, ორიენტირებული იყოს, როგორც ადამიანის სხეული, ის იდენტიფიცირებას ახდენს ადამიანსა და საცხოვრებელ სახლს შორის. ფასადების გამოყენებით ქუჩების აშენება იყო გზა პოლემიკურად გაგვემახვილებინა ყურადღება არქიტექტურის შეცვლზე.

საბოლოოდ, ვენეციის არქიტექტურულ ბიენალეზე ამ პირველი გამოცემების წარმატებამ გამოიწვია ახალი ინდუსტრიის შექმნა. ეს გამოფენა კი აღმოჩნდა მეოცე საუკუნის არქიტექტურის მნიშვნელოვანი მომენტების ასახვის საშუალება. სხვადასხვა ქვეყნის მიერ წარმოდგენილმა შეხედულებებმა ამ საკითხთან დაკავშირებით და რადიკალურად განსხვავებული იდეების ერთობლიობამ მოგვცა მეტად საინტერესო, სახასიათო, უნიკალური ქუჩა, რომელმაც გააერთიანა დიდი არქიტექტორების იდეები და წარმოაჩინა იმ ქვეყნების შესაძლებლობები, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა და გამოფინეს ინსტალაციები დიდ საგამოფენო სივრცეში - არსენალეზე.